K 137-170
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯოელ ჩანდლერ
ჰარისი

ძველ ზღაპრებს ელაპარაკება

К 43.4.140
3

• ნაკადული • თბილისი • 1969

-93 : 8C99.962.5-1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ა ვ შ ვ ე ბ ო!

ჯოტო კონსტანტინეს ძე ტაბაღუა აფხაზი მწერალია. იგი 1924 წელს დაიბადა, დაამთავრა სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

პირველი ნაწარმოები დაწერა 1944 წელს, ხოლო 1958 წელს მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს.

ჯოტო ტაბაღუას გამოქვეყნებული აქვს საბავშვო ლექსების სამი კრებული: „პირველი ნაბიჯი", „მერცხალი ჭიკჭიკებს", „ხტუნია ჭრიჭინა", აგრეთვე რამდენიმე პედაგოგიური ხასიათის ნაწარმოები.

სპეგ-2000
შემოწმებ... 01

თ ა რ გ მ ნ ა

ზ ო თ ა ა კ ო ბ ი ა ძ ე

35ბ3-ი9 2113 -18

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს პატარა მეგობრებს

თქვენ, პატარა მეგობრებო,
იზეიმეთ, იხარეთ!
სადაც თვალი აგეხილათ,
შეიყვარეთ ის მხარე!

შეიყვარეთ დედა ენა,
მისი ფასი იცოდეთ!
თქვენი ტკბილი სიმღერები
კიდით-კიდე ისმოდეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიყვარეთ შრომა, გარჯა,
შეიყვარეთ წიგნები!
იქ ყოველთვის გაიმარჯვებთ,
სადაც ერთად იქნებით.

ჩვენი დროშა შეიყვარეთ,
ხალხის დროშა მზიანი!
გაიზრდებით...
    დე, თქვან თქვენზე,
— აი, ადამიანი!





ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარების მარში

დედებსა და მამებს
ამოვუდგეთ მხარში!—
აი, ჩვენი მარში,
პატარების მარში.

ყველას,
ყველას,
ყველას,
ეს ნათელი დილა, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაგვაქცევს ქვეყნის
სასახელო შვილად.

ლენინური დროშით,
წინ, წინ ვივლით მარად;
დედის გასახარად,
მამის გასახარად.

დიდ მომავალს უნდა
ამოვუდგეთ მხარში!—
აი, ჩვენი მარში,
პატარების მარში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



კალმახი

წყალში ჩანან თევზები
ისე, როგორც სარკეში.
აი, დავჯექ მდელოზე
და ჩავუშვი ანკესი.

ჩემს ანკესზე მიგლესილ
პურის ფინჩხას
ანაზდად,
კბილი გაჰკრა კალმახმა
მსუქანმა და ლამაზმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გაიქცა,
    თვალთაგან
ელვის უმალ გამიქრა.
დავიძახე ხუმრობით:
დახეთ, თევზმა რა მიქნა!

ან როგორღა შევიპყრო,
ან რა ნამუს-პირითა?
იმ კალმახმა ხომ ჩემი
პურმარილი მიირთვა!



ეროვნული
ბიბლიოთეკა



თეთრი ფისო

ჩემი ფისო თეთრი არის,
მართლაც თოვლის შესადარი;
აივანზე უყვარს ძილი,
თმას ივარცხნის ყოველ დილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აივანზე უყვარს ძილი,
მაგრამ ძილშიც
ფხიზლობს მუდამ.
ერთ დღეს თაგვი,
ფისოს თვალწინ,
აივანზე გაცუნცულდა.

გაიღვიძა ფისომ ხელად,
მაგრამ თაგვმა თავს უშველა;

ხურგთან გაჩნდა, სადაც ეგდო
საკვამურის შავი მილი.
შეძვრა შიგ და ჩვენი ფისო
გარეთ. დარჩა დარცხვენილი.

ერთხანს იდგა დაბნეული,
შემდეგ მილში შეჰყო თავი...
გამოძვრა და იყო მართლა
სასაცილო სანახავი:

თეთრი ბეწვი
ჭვარტლს იმგვარად
მიეხატა,
მოეხატა,
ყვინჩილებმაც გაიკვირვეს, —
ვეხიაო ჭრელი კატა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაძვის ხე

ჩვენი ხელით დარგული,
გალამაზდა, გალაღდა.
ქვეშ გაშლილი მინდორი
დაუმშვენა ბალახმა.

მას არასდროს არ მოვჭრით,
თან ამ ხვედრსაც ვალირსებთ,
დარჩეს მუდამ სკოლის წინ
ხაახალწლო ნაძვის ხედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის გარშემო წრეს შევკრავთ
მოზეიმე ბავშვები:
ნაძვის ხეო, იცოცხლე,
ნაძვის ხეო, დამშვენდი!



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ზამთარი

ფიფქების ლაშქარი
ირევა გარშემო,
რა თეთრი თოვლია,
შეხედეთ, ბავშვებო!

თუმც ცივა,
ვულია
ხალისით გამთბარი.
ითოვოს,
ვის უნდა
უთოვლო ზამთარი?

•ქნება დარდის და
ნაღველის სადარი,
ზაფხული—უვარდო,
უთოვლო ზამთარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



K 137.170
3

ს ი ზ მ ა რ ი

თუმცა გათენდა, ალმახხანს
ტკბილად ეძინა ჯერაც...
ნახა, აევსო მინდორი
ჩიტუნებს ფერად-ფერადს.

მათი ულურტულიც მოესმა
და წამოიჭრა ზეზე,
კარი ხმაურით გააღო...
თვალით ჩიტუნებს ეძებს.

საქ. სახელმწ. ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძებნა ამაო აღმოჩნდა,
გაოცებული დარჩა;
გარშემო მხოლოდ თოვლია,
არც ერთი ჩიტი არ ჩანს.

თუ შეშინდნენ და გაფრინდნენ,—
ფიქრობს და თვალებს ნაბავს.—
კარი რომ ნელა გამეღო,
არ დაფრთხებოდნენ ალბათ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცხენი და ბავშვები

— ლურჯა ცხენო, სადა ხარ?
— სადა ვარ და თავლაში!
— როცა კვიცი იყავი,
გყვარებია თამაში.

— ახლა არა მცალია,
მინდორი მაქვს სახნავი.
— რა მოგართვათ საჭმელად?
— შვრია, ქერი ახალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნასაუზმევს სად წახვალ?
— ტვირთს წავიღებ წისქვილში.
— შრომის შემდეგ გართობა-
დასვენებას ვინ გიშლის?

— შემდეგ მგზავრებს წავიყვან
— შემდეგ? — გავწევ ველისკენ;
ვითამაშებ მთელი დღე,
ვიჭიხვინებ მთელი დღე.

— ახლაც იცი თამაში?!
— ახლაც ვიცი, აბა, რა!
მე ის მაშინ ვისწავლე,
როცა ვიყავ პატარა.

ის კი არა, ჭიხვინიც
ხულ პატარამ ვისწავლე;
ახლაც ვიცი ამიტომ,
თუმც ხმა გამოვიცვალე.

მაშინ გზა რომ ვისწავლე,
დღეს შინ იმ გზით მოვედი!..
ბავშვობისას ნასწავლი
გეხსომება ყოველთვის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



მონადირე მანჩა

მანჩა ამბობს ამაყად:
„მონადირე მამა მყავს!
ტურებს დასცა თავზარი,
დათვზე შური იძია.
მამაჩემის სახელი
ტყეში მგლებმაც იციან...
ერთი თოფი მეცა მაქვს,
მომიტანა ბიძიამ“.

თოფი არის პლასტმასის,
ცისფერი და ლამაზი.

*

ერთ დღეს მანჩამ აიღო,
თვისი თოფი ნაქები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თქვა: — გაოცდებიან
ჩემი ამხანაგები,

როცა დათვებს დავხოცავ,
როცა ტურებს დავხოცავ...
ჯერ ბილიკით იარა,
შემდეგ ტყისკენ გაცოცდა.

თოვლი არის მუხლამდე,
მაგრამ ეს არ აშინებს.
გაიგონებს რამე ჩქამს,
გაყუჩდება მაშინვე.

ხედავს, თოვლში ჩამდგარა
თეთრი დათვი, საზარი,
თვალები აქვს ვეება,
თათი — უზარმაზარი.

დაიყვირა: მიშველეთ! —
მაგრამ ვინ უშველიდა?
თანაც თოფი იმწამსვე
გაუვარდა ხელიდან.

გამობრუნდა შინისკენ
შიშით გაფითრებული...
ჰკითხეს, რამ დაგაფეთა
მონადირე ქებული?!

— დათვი ვნახე ტყის პირას,
ჩემი შეჭმა უნდოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ მანჩას ნაამბობს
მოეკიდნენ უნდობლად.

— არა გჯერათ?! წამოდით,
ნახეთ დათვი საზარი;
ბურთის ტოლა თვალი აქვს,
თათიც — უზარმაზარი!

ადგა ბაბუც, ბებიაც:
ვნახოთ, რა ამბებია!

ჯერ ბილიკი იარეს,
შემდეგ თოვლი გაკვალეს.
მანჩაც გვერდით მოჰყვებათ,
შიშისაგან კანკალებს.

და გაჩერდნენ იქ, სადაც
ეგდო თოფი მანჩასი.
მათ წინ ჩანდა ბუჩქები,
თოვლის ნათელ ფარჩაში.

ერთი ბუჩქი მაღალი,
თოვლით გადაბარდნილი,
ისე იდგა, თითქოსდა
იყო დათვი ნამდვილი.

გაეცინა ბაბუას,
გაეცინა ბებიას:
აი, ახლა მიგიხვდით,
რატომ შეგშინებია!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნადი

კურდღელსა და მელიას
ყანა ჰქონდათ სამკალი.
ერთს ეჭირა ფიწალი
და მეორეს — ნამგალი.

მალე ნადიც ეწვიათ:
ციყვი,
    მაჩვი,
        მზეწვია.
მაჩვს ეკავა ნიჩაბი,
ციყვი თავთავს ლეწავდა,
გაბნეული მარცვლების
ძებნას ჩიტი ეცადა.

ხალისიან ჯაფაში
არ დაღლილან სრულებით.
ოქროს მარცვლით დატვირთეს
ორთვალაც და ურმებიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩიტი და ბავშვები

ტოტზე ზიხარ, კანკალებ,
ვიცით, ყინვა გაშინებს.
თუ ისურვებ, ფანჯარას
გამოგიღებთ მაშინვე.

ჩამოჯდები ჩვენს ახლო
და ბუხართან გათბები.
შენ ხომ ნათესავი ხარ,
წიწილების, ქათმების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაწაწინა ჩიტუნავ,
ჩვენი რად გეშინია?
იქნებ შიმშილისაგან
წუხელ არც გიძინია!

დაგაპურებთ, გაგათბობთ,
ჩვენს ლხინს გაგიზიარებთ.
გაზაფხულზე გაფრინდი,
ლაჟვარდ-ლაჟვარდ იარე!

ამისათვის არ ვითხოვთ
მადლობას და შექებას,
იგალობე და ვალი
გადახდილი გექნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გამამხნევებელი ვარჯიში

დაუძახა ბატმა ჭუკებს:
გაიღვიძეთ,
    დროა უკვე!

წამოდექით,
ძილი კმარა!
აბა, ჩქარა,
აბა, ჩქარა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დედისკენ
    ყველა ჭუკი
მიდის ფეხის პაკა-პუკით.

ბატმა ფრთები დაიბერტყა,
(რას აპირებს ბატი ნეტავ?)—
შეიმართა, გაიფოფრა
და შემოჰკრა ფრთებით ტაში:

— ერთი-ორი,
    აბა, ყველა
ამოუდგეს ერთურთს მხარში!

ახლა ჩემებრ ფრთა გაშალეთ!
ერთი-ორი,
მალე, მალე.

ფრთა ასწიეთ
    აი, ასე!
ღრმად ისუნთქეთ,
    მოხვალთ ჯანზე!

აბა, რიგი იყოს სწორი!
ერთი-ორი, ერთი-ორი...

ახლა ყველამ ფრთა დაუშვას.
დაიღალეთ?
    არა უშავს!

შემდეგ ბატმა დაიძახა:
მდინარისკენ წავალთ ახლა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბა, მარდად გამომყევით,
ფრთების ქნევით,
ფრთების ქნევით.
ამ მდინარეს დააკვირდით,
ალმასია მისი ზვირთი.
რომ დავითვლი სამჯერ,
მაშინ
გადაეშვათ უნდა წყალში.
აბა, ყველა მომყვეს გვერდით,
ორი-ერთი, ორი-ერთი!

— ახლა ჩემებრ იწყეთ ცურვა,
მამაცურად,
მამაცურად!
ოღონდ, როცა ცურვას იწყებთ,
ნურც სიფრთხილეს დაივიწყებთ;
დაიხსომეთ, ცუდი რამე
არის წყალთან სითამამე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სასიხარულო დღე

ახმაურდა დაფდაფები:
ტრახ-ტრახ,
ტრა!
— დაფდაფებო, დაფდაფებო,
რა გინდოდათ, რა?

— პატარები
ქალაქ სოხუმს
იხილავენ დღეს:
ჩვენი სკოლის ოქტომბრელებს
გვსურს ვახაროთ ეს!..

აბა, მარდად მოემზადეთ,
ტრახ-ტრახ,
ტრა!
მანქანასთან იყოს ყველა,
როცა დაჰკრავს ცხრა!

მოკრიალე ავტობუსი
ბაღის კართან დგას.
ჰა, საათის ცხრა შესრულდა,
მაშ, გავუდგეთ გზას!

*

მიჰქრის, მიჰქრის ავტობუსი,
თითქოს ფრთები ასხია...
გზები რა ლამაზია!
ეს ზღვაც რა ლამაზია!..

აი, სოხუმ-ქალაქი...
წინ სასტუმრო „აფსნია".

სასტუმროსთან გაჩერდა
ავტობუსი კრიალა...
— მართლაც ბაღი ყოფილა
ეს,
ქალაქი კი არა!

ყვავილები, პალმები,
სართულები მაღალი...
მართლაც თვალგასახარი,
მართლაც გულგასახარი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

პატარები ჩამწკრივდნენ,
იღიმიან, ხარობენ.
და ხელ-პირს იგრილებენ,
ცივ, კამკამა წყაროზე.

ის სოხუმის თეატრია,
ეს კი—ბაღი რუსთაველის!..
ახლა მარჯვნივ შემობრუნდნენ,
ყველა შავ ზღვას გადასცქერის.

ნავსადგურთან ბოლავს გემი,
თეთრი გემი ვეება.
აგერ ზვირთი აგუგუნდა,
ტალღა ტალღას შეება,

შემდეგ წყალმა სანაპიროს
შეუტია განგაშით...
ზღვის ტალღებსაც ბავშვებივით
ჰყვარებიათ თამაში.

გემი ბოლავს. რა გემია?
„აფხაზეთი“ ყოფილა!
ამ სახელმა ბავშვებს გულზე
სიხარული მოჰფინა.

გემს ესტუმრნენ.
და ბავშვები ყველგან მიმოატარეს.
თვითონ ძია კაპიტანი
გვერდით ახლდა პატარებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

გახალისდნენ პატარები
თავი იგრძნეს შინ...
ახმიანდა დაფდაფები:
წინ!
    წინ!
        წინ!

*

წინ სახლია,
    „მუზეუმი“
აწერია კარებთან...
დახეთ,
    თურმე ის სხვა სახლებს
ჰგავდა მხოლოდ გარედან!

*

აგერ პატარა ქალაქი
უცნაური მართლაცდა...
ბადის მილმა მაიმუნი
ხელით ქვიშას მარცვლავდა.

იქვე, მისი თანატოლი
თოკზე კონწიალობდა.
ერთს აელო ხელში თხილი,
გატეხვაზე წვალობდა.

ხმაურობდნენ ძელზე მხტომნი,
რგოლზე მოთამაშენი...
მაინც რაა ეს ქალაქი?
— მაიმუნთა საშენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კისკისებდნენ პატარები,
რა ვნახეთო, რა!..
აგუგუნდა დაფდაფები:
ტრახ-ტრახ,
ტრა!

ჰა, დაიძრა მანქანა და
გაექანა წინ...
დაფდაფებიც გუგუნებდნენ:
შინ!
შინ!
შინ!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ჩემს პატარა მეგობრებს 5
პატარების მარში 7
კალმახი 9
თეთრი ფისო 11
ნამვის ხე 13
ზამთარი 15
სიზმარი 17
ცხენი და ბავშვები 19
მონადირე მანჩა 21
ნადი 24
ჩიტი და ბავშვები 25
გამამხნევებელი ვარჯიში 27
სასიხარულო დღე 30

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(САб ×) 2
894 611 3—93
ტ 133

7-6-2

Табагуа Джото Константинович
Моим маленьким друзьям
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1969

უმცროსი სასკოლო ასაკის გავშვთათვის

რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე, მხატვარი ზ. ნიუარაძე, მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი, ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა, კორექტორი თ. ინჯია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII- 69 წ; ქაღალდის ზომა 70×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 2,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1, 48 ტირაჟი 7 000 შეკვ. № 441 ფასი 18 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაკადული“, ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пурцеладзе, 5